სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით 27 დევნილს სასოფლო სამეურნეო ტექნიკა გადასცა

06 მარტი 2021

დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით 27 დევნილს სასოფლო სამეურნეო ტექნიკა გადასცა. დევნილთა ინიციატივების მხარდაჭერის პროგრამის მიზანს იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და მათთვის შემოსავლის წყაროს გაჩენა წარმოადგენს. ბოლო ერთი წლის განმავლობაში, დევნილთა სააგენტომ საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის პროგრამების ფარგლებში, ჯამში, 400-ზე მეტი იძულებით გადაადგილებული პირი დააფინანსა.